სდასუ
შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

ბრძN 115 ***19.12.2023***

სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმები

I. სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის მისია

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის **სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის** ამოცანაა ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის სტუდენტებსა და კურდამთავრებულებს დასაქმებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებაში, უწყვეტ რეჟიმში მოახდინოს სხვადასხვა სერვისების, მათ შორის ტრენინგ კურსების, ვაკანსიების შეთავაზება, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე მათ გასვლას. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა შემდგომი დასაქმების მიზნით შეისწავლოს შრომის ბაზრის შესაძლებლობები და ტენდენციები.
ცენტრი პირველივე სემესტრიდან იწყებს აქტიურ მუშაობას სტუდენტებთან და აგრძელებს თანამშრომლობას სწავლის დასრულების შემდგომაც, რაც ზრდის უნივერსიტეტის მიმართ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ნდობის ხარისხს.

კარიერული განვითარებისა და დასაქმების ცენტრი სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს სთავაზობს შემდეგი სახის სერვისებს:

- პერიოდული ვორქშოფები, რაც გააუმჯობესებს მათ ტექნიკურ უნარებს ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად;
- ,,რბილი უნარების" (მოსმენა, გავლენა, მართვა და ლიდერობა) განვითარების ხელშეწყობა სტუდენტებში;
- ტრენინგები, კონსულტაციები და ONLINE (დისტანციური) კურსები სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის;
- მიმდინარე ვაკანსიების შესახებ უწყვეტი ხელმისაწვდომობა;
- სიმულაციური სავარჯიშოები დასაქმების სრული ციკლის გასავლელად;
- პარტნიორი ორგანიზაციებისა და პოტენციური დამსაქმებლების ხელმისაწვდომობა;
- საჯარო ლექციები პროფესიული ორიენტაციის მიზნით;
- კარიერული განვითარების მენტორები;
- სტაჟირების შესაძლებლობა პროფესიული ნიშნით;
- მობილობაში ჩართული სტუდენტების ადაპტაციის პროცესის ხელშეწყობა;
- საორიენტაციო დღეები.

II. სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის მიზნები

ა) შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით მოახდინოს რეგულარული ტრენინგების შეთავაზება სტუდენტებისთვის;

ბ) სტუდენტებსა და დამსაქმებლებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის უზრუნველყოფის მიზნით კონკრეტული თემატური ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

გ) დამსაქმებელთა და კონკტერული დარგის ექსპერტების ჩართულობის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში;

დ) დასაქმების ინტერნტე საიტებზე გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი მოთხოვნადი სპეციალობებისა და კვალიფიკაციების დადგენის მიზნით;

ე) შრომის ბაზრის კვლევის მიზნით სტუდენტებისა და დამსაქმებლების პერიოდული ანკეტირება-გამოკითხვა სხვადასხვა სპეციალობების ადამიანურ რესურსებზე მოთხოვნა-მიწოდების დადგენის მინიზით;

ვ) შრომის ბაზრისა და დასაქმების პრობლემების კვლევების განმახორციელებელ სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ინფორმაციის გაცვლის და თემატურად რელევანტურ ღონისძიებებში ერთობლივი მონაწილეობის მიღების უზრუნევლსაყოფად;

ზ) ხელი შეუწყოს თეორიული სწავლებისა და პრაქტიკული კომპონენტის შერწყმით დაახლოვოს სტუდენტები და კურსდამთავრებულები ბაზართან;

თ) გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის, ცოდნის ეკონომიკის ფორმირების, ცოდნის გაზიარების, ახალი იდეეების გენერირების, ხორცშესხმისა და ხელშეწყობის მიზნით განახორციელოს უნივერსიტეტების ბაზარზე სტრატაპების, ინკუბატორების და პრე-აქსელატორების შექმნა;

ი) შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტების, ასევე სხვა მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი, დევნილი ოჯახები და სხვ.) დასაქმების ხელშეწყობის მიზნით უზრუნველყოს მათი აღრიცხვა და შეიმუშავოს პრესონალიზებული მიდგომები დამსაქმებელთან;

კ) უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს შორის კავშირურთიერთობის უზრუნველყოფა, მათ შესახებ საკონტაქტო ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და სისტემატიზაცია;

ლ) უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მუდმივად ინფორმირება შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიების შესახებ მათი პროფესიული ცოდნის შესაბამისად დასაქმების მიზნით;

მ) ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება საქართველოში მოქმედ სახელმწიფო დაწესებულებებთან, კერძო კომპანიებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ოერგანიზაციებთან;

ნ) სტუდენტების სტაჟირებისა და დასაქმების მიზნით სახელმწიფო დაწესებულებებთან, ადგილობრივ თვითმმართველობის ერთეულებთან, კერძო სექტორში ფუნქციონირებად კომპანიებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კავშირის დამყარება;

ო) დასაქმების ფორუმის პერიოდულად ორგანიზება/მონაწილეობის მიღება და სხვ.;

პ) უნივერსიტეტის სტუდენტთ პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით;

ჟ) კურსდამთავრებულთა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართვის იდეის პოპულარიზაცია და უნივერსიტეტის იმიჯის ამაღლების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება;

რ) კურსდამთავრებულთა თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით მათთვის სპეციალური პროგრამული/პროფესიული გადამზადების კურსების შეთავაზება;

ს) მოკლევადიანი, ალტერნატიული, მოქნილი და მრავალფეროვანი პროგრამების შემუშავება და დანარგვა;

ტ) უნივერსიტეტის სტუდენტების წარმატებების მიღწევისთვის საჭირო პირობების შექმნა როგორც უნივერსიტეტში სწავლისას, ისე დამთავრების შემდეგ კარიერული წინსლვის უზრუნველსაყოფად.

III კარიერისა და დასაქმების ცენტრის საქმიანობა

ა) რეგულარული ტრენინგები - კარიერული განვითარებისა და დასაქმებისთვის აუცილებელი უნარების განვითარების მიზნით ცენტრი უწყვეტ რეჟიმში სთავაზობს სტუდენტებს ტრენინგებს სხვადასხვა საკვანძო საკითხებზე.

ცენტრის მიერ შეთავაზებული ძირითადი მოდულებია:

- შრომის ბაზრის სპეციფიკა. სამუშაოს ძიების მექანიზმები;
- სწორი პროფესიული და კარიერული ორიენტაცია;
- საკუთარი უნარების, შესაძლებლობების განსაზღვრა;
- აპლიკაციის შედგენა (რეზიმეს, სამოტივაციო წერილის მომზადება შემდგომი კარიერული ზრდისა და დასაქმების მიზნით);
- დამსაქმებლებთან ან სასწავლო სტიპენდიის მოპოვების მიზნით ინტერვიუსთვის მომზადება;
- თვითპრეზენტაციის უნარების განვითარება.

სტუდენტების მოთხოვნის შესაბამისად ცენტრი პერიოდულად განახორციელებს სხვადასხვა ტიპის აქტივობებს, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდისა და დასაქმების მიზნით.

ბ) დასაქმების ხელშესაწყობი მიზნობრივი ღონისძიებები

შეხვედრები დამსაქმებლებთან

ცენტრი პერიოდულად აწყობს შეხვედრებს დამსაქმებლებთან. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს აქვთ შესაძლებლობა თავად დაასახელონ დამსაქმებელი და ცენტრი მოახდენს შეხვედრის უზრუნველყოფას.

დასაქმების ფორუმი

ცენტრი პერიოდულად მოაწყობს დასაქმების ფორუმს.

დასაქმების ფორუმი შესაძლებელია ჩატარდეს შერეული ან დარგობრივი სახით. დასაქმების ფორუმის ორგანიზებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა აქვს როგორც სტუდენტს, ასევე კურსდამთავრებულს, ვინაიდან ეს მათ მნიშვნელოვან გამოცდილებას შესძენს.

უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის კვლევა

კვლევა განხორციელდება ყოველწლიურად, რაც დასახული მიზნების სრულად და ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობისთვის აუცილებელია. ცენტრი განახორციელებს კვლევებს უნივერსიტეტის მასშტაბით. დამსაქმებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პერიოდული გამოკითხვა მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვისა და მართვისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან სხვა მოწყვლადი ჯგუფების წევრი სტუდენტების კარიერული ზრდისა და დასაქმების ხელშეწყობა

ცენტრი მნიშვნელოვან ყურადღებას დაუთმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების, ასევე სხვა მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი და/ან დევნილები, სხვადასხვა უმცირესობათა წარმომადგენლები) დასაქმების ხელშეწყობას.

წლიური ანგარიში

ცენტრი ყოველწლიურად მოამზადებს ანგარიშს, სადაც აისახება ყოველწლიურად გაწეული საქმიანობის შედეგები. მასში აისახება დატრენინგებული სტუდენტების რაოდენობა, არსებული პრობლემები და გამოწვევები, სამომავლო გეგმა. ცენტრი ყოველი წლის ბოლოს გამართავს წლის ანგარიშის პრეზენტაციას, რომელსაც დაესწრებიან, როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ასევე დამსაქმებლები და საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები.